ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის 12 თვის შემოსულობებმა შეადგინა 14 072.5 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით (13 456.1 ათასი ლარი) გაზრდილია 4,6 %-ით, ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული ნაშთის (2 749.9 ათასი ლარი) ჩათვლით მათ შორის:

შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმით გათვალისწინებული იყო 11 482,8 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულობებმა შეადგინა 11 195,5 ათასი ლარი, რამაც გეგმის 97,5% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 2 317,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 063,0 ათასი ლარი) 112,3 %-ს შეადგენს.

თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 023.2 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (1 723,0 ათასი ლარი) 117,4%- შეადგენს.

საშემოსავლო გადასახადი, 294,0 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის (340,0 ათასი ლარი) 86,5 %-ს შედგენს.

გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5 976,4 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 6 141,2 ათასი ლარი (97,3%) მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი _ 2 077,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 183,0 ათასი ლარი, სპეციალური 299,7 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერები – 3 418,9 ათასი ლარი,

აგრეთვე ბიუჯეტს გამოაკლდა წინა წელს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 2,6 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 3 278,6 ათასი ლარი, შემოსულია 2 901,9 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 88,5%-ს შეადგენს.

შემოსავლები საკუთრებიდან:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 46,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 ათასი ლარი) 310,7% შეადგენს.

დივიდენდები - 1,0 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 2 677,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 3 136,1 ათასი ლარი 85,4%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 2 674,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,6 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 57,5 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 85,7 ათასი ლარი.(149,0 %) მ/ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 61,7 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 53,3 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 8,4 ათასი ლარი, ხოლო მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 24,0 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 79,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (50.0 ათასი ლარი) _ 158,4%-ს შეადგენს.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 12,3 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 11,9 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 0,4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 127,2 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 13,0 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 114,2 ათასი ლარი, მ/ შორის: შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 1,5 ათასი ლარი,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14 262,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 084,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,7 %-ია.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 366,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7 629,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,2 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5 888,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 455,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,6%-ია.

2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 684,5 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 677,8 ათასი ლარს. რაც გეგმის 99,0 %-ს შეადგენს, ხოლო წინა წელთან შედარებით 139,3 ათასით მეტია. ამ ხარჯებიდან ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცას მოხმარდა 116,8 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინასებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვა 382,8 ლარი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას 6,9 ლარი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფ, უბედური შემთხვევებისა და სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგადა დაზარალებულ ოჯახებს 121,4 ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს 2152 ლარი და მარტოხელა გარდაცვლილ მოქალაქეთა დაკრძალვის ხარჯმა 3500 ლარი შეადგინა.

აღნიშნული თანხები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია:

მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სხვადასხვა სიტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 81 ოჯახს, რომელთა დახმარების თანხამ 121,4 ლარი შეადგინა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების ასიგნებიდან გაიხარჯა 6,950 ლარი.

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებმა მიიღო 21,52 ათასი ლარის ფულადი დახმარება.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

აღნიშნული მომსახურების თანადაფინასებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 383,3 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 382,8 ათას ლარი. რაც, წინა

წელს ამ მაჩვენებელთა შედარებით 56,1 ათასი ლარითაა გაზრდილი. საანგარიშო პერიოდში სტაციონარული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტების დაფინანსების დახმარებით ისარგებლა 1620 ბენეფიციარმა.

დახმარება გაეწია:

18 წელზე მეტი ასაკის 900-ზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან 200 000-ის ჩათვლით) რომელთა მომსახურების თანხამ 141 000 ლარი შეადგინა.

ონკოდაავადებულ 170 მოქალაქეს ბიუჯეტით გათვალისწინებული სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენისა და კველევებისათვის გაეწია 43,162 ლარის მომსახურება.

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირები, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს 14 ბენეფიციარს ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარავად გადაერიცხა 20,44 ლარი.

შშმ პირების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენისათვის 140 ბენეფიციარისთვის გაწეული იქნა 20 650 ლარის მომსახურება.

0-დან 18 წლამდე ასაკის გულით თანდაყოლილი პათოლოგიით დაავადებულ და ეპილეფსიით დაავადებულ პირებს მოთხოვნის შესაბამისად გაეწია დახმარება სამედიცინო მომსახურებაზე 1651 ლარის ოდენობით. ჰემოფილიით დაავადებულმა სამმა ბენეფიციარმა მიიღო 1500 ლარის ფულადი დახმარება.

ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარის დახმარების ხარჯმა შეადგინა 12,000 ლარი.

ა(ა)იპ განათლების ცენტრს, რომელიც ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირს, მომსახურებისათვის გადაერიცხა 13 000 ლარი.

გურიის რეგიონალური ინვალიდთა ასოციაციის შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 11 შშმ პირმა, რომლის მომსახურებისათვის გადაირიცხა 5850 ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

2018 წლის ბიუჯეტით ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 117,5 ლარი, ხარჯი კი შეადგენს 116,8 ათას ლარს. ამ მომსახურებით ყოველთვიურად 133 ოჯახი სარგებლობს.

ამ მხრივ თანხები მოხმარდა:

მრავალშვილიანმა (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) 34 ოჯახმა მიიღო 38,57 ათასი ლარის ფულადი დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-მდე)

ახალშობილთა 100 ოჯახმა (რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 200 000-მდე) მიიღო 20,0 ლარის ფულადი დახმარება.

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახმა, რომლებიც სარგებლობენ კომუნალური გადასახადით 48 ოჯახს გადაერიცხა 17,7 ლარი (თვეში თითოეულზე 30 ლარი).

ყოველთვიურად დახმარებას იღებს დედ-მამით ობოლი სამი ბავშვი (რომელთა ოჯახებს თვეში ერიცხება 100 ლარი) სულ გადაერიცხა 3 ოჯახს 3600 ლარი.

ხანდაზმულმა ოთხმა მოქლაქემ (100 წლის და მეტი ასაკი) მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება 1200 ლარი (თითოეულზე 300 ლარი).

მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიხარჯა 3500 ლარი.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავთან დაკავშირებით მიიღო 500 ლარის ფულადი დახმარება (თითოეულმა 300 ლარი, სათბობი შეშის შესაძენად 200 ლარი).

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა ორ ოჯახს გადაერიცხა 3 840 ლარი.

პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაეწია მინდობით აღზრდიდან სრულწლოვნების გამო ამორიცხულ ერთ ბენეფიციარს, რომელსაც საბანკო რეკვიზიტზე დაერიცხა 1500 ლარი, ხოლო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება მიიღო 3 ბენეფიციარმა, დახმარების თანხამ კი 2 200 ლარი შეადგინა.

ინფრასტრუქტურა

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N1666 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 3 487 360 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოეყო 37 440 ლარი, სულ 3 524 800 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე სასწრაფო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა(II ეტაპი) თანხით- 15001 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლების ბურნათი-წიფნარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (სოფელ წიფნარის ცენტრში არსებულ მგზავრთა მოსაცდელამდე) რეაბილიტაცია -თანხით 180 000 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვემო-ერკეთიდან მოედანას მიმართულებით ბუკისციხის ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით -565 340 ლარი.

სოფელ ბერეჟოულის შესახვევიდან სოფელ გორას მიმართულებით გზის რეაბილიტაცია თანხით -146 800 ლარი.

სოფელ ჯვარცხმის წისქვილიდან ვაზიანის სასაფლაოს მიმართულებით არსებული ა/ბეტონის საფარიანი გზის გაგრძელება თანხით -266 892 ლარი.

სოფელ კოხნარი-ნაკადულის შიგა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სოფელ საჭამიასერის ცენტრიდან კალაგონის მიმართულებით შიგა სასოფლო გზის რეაბილიტაცია თანხით -85 558 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხმაში სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო წყალმომარაგების გაუმჯობესება თანხით -300 000 ლარი.

დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში 9 აპრილის ქუჩის 1 ჩიხში და დაბის სასაფლაოს მიმართულებით, საავტომობილო გზის, დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში 9 აპრილის და დუმბაძის ქუჩის შეერთებაზე საავტომობილო გზის, დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში 26 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში საავტომობილო გზის, დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში გურამიშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის, დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში დუმბაძის ქუჩის 1 ჩიხში საავტომობილო გზის და დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის აღმართის რეაბილიტაცია თანხით -292 292 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაცია თანხით- 128 888 ლარი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მერიის შენობის ირგვლივ ტერიტორიის კეთილმოწყობა და გოგებაშვილის ქუჩაზე მინი კალათბურთის სტადიონის მოწყობა თანხით- 73 012 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში 9 აპრილის სკვერის რეაბილიტაცია და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის მიმდებარე საქონლის ბაზრის მოწყობა თანხით -120 455 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში N1 საბავშვო ბაგა ბაღის წინ ტერიტორიის კეთილმოწყობის, სამრევლო სკოლის წინ ტერიტორიის კეთილმოწყობის, სანიაღვრე არხების მოწყობისა და ასფალტის საფარის მოწყობის, ასევე მცირე არქიტექტორული ფორმების მოწყობა თანხით- 61 136 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია თანხით -93 713 ლარი.

ანა კალანდაძის სახელობის პარკის სამშენებლო სამუშაოები თანხით -54 761 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია თანხით -57 682 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 228 400 ლარი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვანში შიდა გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა თანხით 493 888 ლარი.

დაბა ჩოხატაურში გოგებაშვილის ქუჩის I ჩიხის საავტომობილო გზის კეთილმოწყობა, გოგიბერიძის ქუჩის გაგრძელებაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და ნიკო მარის ქუჩაზე საავტომობილო გზის კეთილმოწყობა თანხით 134 714 ლარი.

სოფელ გორაბერეჟოულში, ჯვარცხმის გზის სავალი ნაწილის აღდგენის სამუშაოები თანხით 86 927 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N410 განკარგულებებით განხორციელდა 2017 წლის განკარგულებით გამოყოფილი დარჩენილი ეკონომიის თანხით:

გოგიბერიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის დასრულება თანხით -14 743 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ რეაბილიტირებულ შენობაზე ფასადის საათების მოწყობა თანხით -7083 ლარი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში სასაფლაოს მიმართულებით გზის რეაბილიტაცია თანხით -19506 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დუმბაძის ქუჩაზე სასიგნალო ბოძკინტების მოწყობა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჭავჭავაძის აღმართის კეთილმოწყობა(გამყოფი ზოლისა და დეკორატიული სანათების მოწყობა) თანხით -21978 ლარი.

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში ოთახების შეკეთების სამუშაოები თანხით 21 994 ლარი.

სოფელ გუთურში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, თანხით 8301 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ოქტომბრის თვეში ძლიერი ქარის და წვიმის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გამოეყო 2 500 000 ლარი, აქედან 96 000 ლარი გაიხარჯა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, დანარჩენი თანხა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენით სამუშაოებზე, კერძოდ:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის თემში, ხიდისთავი ჭაჭიეთის გზაზე მეწყრისაგან დაზიანებულ მონაკვეთზე დამცავი კედლის მოწყობისა და გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით -49430 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში ცხომელიძეების უბანში მილხიდის მოწყობის სამუშაოები თანხით -20 047 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში, სტიქიის შედეგად დაზიანებულ შიდა საუბნო გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის (პირველი ეტაპი)და სოფელ მეწიეთის დამაკავშირებელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები თანხით- 52 998 ლარი.

სოფელ შუა ფარცხმაში ც. ბერიძის საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარე წყალგამტარი მილის რეაბილიტაციის, სოფ. შუა ფარცხმაში ხანის უბანში, საავტომობილო გზის 50 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის, სოფ.შუა ფარცხმაში, ფარცხმა-ზემო ფარცხმის გზის მონაკვეთში მოეწყო საყრდენი კედელი და გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია. სოფ.ზემო ფარცხმაში, მ. იოსელიანი უბნის მიმართულებით, სანიაღვრე არხების და გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია თანხით -46 457 ლარი.

სოფელ დაბლაციხეში ჯიქიების უბანში მდ. სუფსის კალაპოტში საყრდენი კედლის და რკ/ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა თანხით -53 240 ლარი.

სოფელ დაბლაციხეში (საყვავისტყე) გზის სავალი ნაწილის აღდგენა თანხით -22 580 ლარი.

სოფელ კოხნარში (წიფნარი კორიფაძეების უბანი) ჩავარდნილი საავტომობილო გზის აღდგენის სამუშაოები და სოფელ კოხნარში სიხარულიძეების უბანში სამანქანე გზის

დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა და ემზარი ახალაძის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია თანხით -35 476 ლარი.

სოფელ კოხნარში, ნაფოშტარას უბანში, დაზიანებული წყალგამტარი მილების და გზის სავალი ნაწილის აღდგენა და სოფელ კოხნარში (ბურნათი) თავაძეების უბანში საავტომობილო გზის აღდგენა და რიმა რამიშვილის სახლთან მისასვლელი რეაბილიტაცია თანხით -27 956 ლარი.

სოფელ კოხნარში, ოჩეს უბანში, გზის სავალი ნაწილის აღდგენა თანხით -26 402 ლარი.

სოფელ ბუკისციხეში, ბუკისციხე-დაბლაციხის საზღვარზე, საავტომობილო ხიდის მოწყობა თანხით -21 994 ლარი.

სოფელ ბუკისციხეში, (იანეული) გიზო ვაჩეიშვილის უბანში დეზის მოწყობა თანხით 35 001 ლარი.

სოფელ ჯვარცხმაში (ინტაბუეთი) ბასილიების უბანში საყრდენი კედლის და არხების მოწყობა თანხით 90 888 ლარი.

სოფელ ჯვარცხმაში ვალიკო გუდავაძის , გია ჩხიკვაძის, ლადო ბერაძის, ზაზა გელაშვილის, ო. გეგეჭკორის, გიორგი ჩხიკვაძის, ტარიელ ჯინჭარაძის და რანგული უნგიაძის ეზოსთან გზის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისა და საყრდენი კედლის მოწყობა თანხით -62 471 ლარი.

სოფელ ზემოხეთში დაზიანებული ხიდის აღდგენის, სოფელ ზემოხეთში (გოგოური) დაზიანებული მილხიდის სათავისების და გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის, სოფელ ზემოხეთში გოგოური-თხილაგანის გზაზე ხიდის ბურჯის აღდგენის, სოფელ ზემოხეთში მჟავიების უბანში შიგა საუბნო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობის, სოფელ ზემოხეთში(განთიადი) ადმინისტრაციული შენობის წინ გზის ჩავარდნილი მონაკვეთის აღდგენა თანხით -49 785 ლარი.

სოფელ ზოტში ნადაბურში დაზიანებული მილხიდების აღდგენა თანხით -13 601 ლარი.

დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში N2 ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარე 2 საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია თანხით- 36 765 ლარი.

საჭამიასერის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია თანხით 15 224 ლარი.

ბუკისციხის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია თანხით -16 845 ლარი.

სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ შუა ფარცხმის წყალსადენის რეაბილიტაცია თანხით -5332 ლარი.

გაბო სიმონიშვილის საკარმიდამო ნაკვეთისა და საერთო საცხოვრებლის საზღვარზე ღია სანიაღვრე არხის მოწყობის, კოსტავას ქუჩაზე ზურაბ მახარაძის ეზოს მიმდებარე სანიაღვრე არხების მოწყობის, დაბაში გურამიშვილის ქუჩაზე გოგი პაიჭაძის ეზოსთან სანიაღვრე არხების მოწყობა თანხით -20342 ლარი.

სოფელ დაბლაციხეში რ. ონიანის სახლთან გზის აღდგენის სამუშაოები და სოფელ დაბლაციხეში წყალსადენის ქსელის აღდგენის სამუშაოები თანხით -23 012 ლარი.

სოფელ კოხნარი-საჭამიასერის გზაზე ქორიძეების ღელეზე საავტომობილო ხიდის მოწყობის და სოფელ ხიდისთავში მდინარე ლუგუბაზე საავტომობილო ხიდის მოწყობა თანხით -98 500 ლარი.

სოფელ ერკეთში(კახოურა) ა. მამალაძის საცხოვრებელ სახლთან გზის აღდგენის, სოფელ ერკეთში ბ. გურგენიძის ეზოსთან არსებული ხიდის ბურჯის აღდგენის, სოფელ ერკეთში აბესალო ჩანტლაძის მიმართულებით გზის სავალი ნაწილი მარჯვენა მხარეს რკ/ბეტონის კედლის მოწყობის, სოფელ ერკეთში(კახოურა) მ. მგალობლიშვილის უბანში გზის სავალი ნაწილის აღდგენის და სოფელ ერკეთში შუბის მიმართულებით გზის სავალი ნაწილის აღდგენა თანხით - 40874 ლარი.

სოფელ ქვემოხეთში ზაქარეიშვილის ეზოს მიმდებარე რკ/ბეტონის მილების მოწყობის, სოფელ საჭამიასერი-კოხნარის დამაკავშირებელი გზის აღდგენის, სოფელ ქვემოხეთში მილხიდების მოწყობის და სოფელ ჩომეთში გზის ჩავარდნილი მონაკვეთების აღდგენა თანხით- 42 124 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში, ცივის უბანში ხიდის მოწყობის და სოფელ ხევში, ცენტრალურ უბანში მდ. გუბაზეულზე ახალი საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მშენებლობის სამუშაოები თანხით- 858 500 ლარი.

სოფელ ამაღლებაში სამანქანე ხიდის აღდგენის, სოფელ ამაღლებაში სტადიონთან საავტომობილო ხიდის აღდგენის, სოფელ სამებაში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციის და სოფელ ფარცხმაში ხანის უბანში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები თანხით- 47 312 ლარი.

სოფელ გოგოლესუბანში გულიკო სიხარულიძის ეზოს მიმდებარე სანიაღვრე არხების და წყალგამტარი მილების მოწყობის, სოფელ გოგოლესუბანში სიხარულიძეების ეზოს მიმართულებით ბეტონის საფარიანის გზის მოწყობის, სოფელ გოგოლესუბანში გოგი სიხარულიძის ეზოს მიმდებარე ცხაურების მოწყობის და გზის შეკეთების, სოფელ გოგოლესუბანში გ. კეკელიძის ეზოს მიმდებარე ყრილდამჭერი კედლის მოწყობის, სოფელ გოგოლესუბანში დ. ჯიქიას ეზოს მიმდებარე მილის, არხების და ხრეშოვანი საფარის მოწყობის, სოფელ გოგოლესუბანში რ. შათირიშვილის ეზოსთან მილის

სათავისების აღდგენის და სოფელ გოგოლესუბანში ელგუჯა სიხარულიძის ეზოსთან მილხიდის მოწყობის სამუშაოები თანხით- 64 068 ლარი.

სოფელ გუთურში ვაჩეიშვილების უბანში სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე მილებისა და გზის სავალი ნაწილის, გუთური-ერკეთის ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე მილების და სანიაღვრე არხების მოწყობის, ნიკა ბოლქვაძის სახლთან გურამიშვილის ქუჩაზე წყალგამტარი არხებისა და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები თანხით -117 047 ლარი.

სოფელ ქვენობანში მდინარე გუბაზეულის კალაპოტში გაბიონის კედლის მოწყობის, სოფელ ქვენობანში მარკოიძეების უბანში გზის რეაბილიტაციის და სოფელ ქვენობანში სერგო კალანდაძის ეზოსთან რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით -64 422 ლარი.

სოფელ შუა ამაღლებაში ბაბულეიშვილების უბანში გზის დამეწყრილი მონაკვეთის რეაბილიტაციის, სოფელ შუა ამაღლებაში ლაფრანს ღელეზე ლითონის საცალფეხო ხიდის მოწყობის, სოფელ შუა ამაღლებაში თემური სიხარულიძის საცხოვრებელ ეზოსთან დამცავი გაბიონის მოწყობის და სოფელ შუა ამაღლებაში ნ. ყაჭეიშვილის ეზოსთან ახალი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები თანხით 77 737 ლარი.

სოფელ ზემო სურების ცენტრში საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციის, სოფელ შუა სურებში საბერიშვილოების უბანში გზის გაწმენდის და შეკეთების და სოფელ შუა სურებში მოთრეს უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით -37 166 ლარი.

სოფელ გორაბერეჟოულში უნგიაძეების უბანში ღელის კალაპოტში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით 33 549 ლარი.

სოფელ გორაბერეჟოულში ბუტი მეფარიშვილის უბანში მილხიდების, ცხაურის და სანიაღვრე არხების მოწყობის, სოფელ გორაბერჟოულში გელა ჭეიშვილის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის, სოფელ გორაბერეჟოულში გია რამიშვილის სახლთან არხების და მილების მოწყობის, სოფელ გორაბერეჟოულში ნუკრი დოლიძის სახლთან წყალგამტარი მილის მოწყობის, სოფელ გორაბერეჟოულში ვალერი სიხარულიძის უბანში გზის სავალი ნაწილის შეკეთების, სოფელ გორაბერეჟოულში შაკი კუტუბიძის მიმართულებით სანიაღვრე არხების მოწყობის და სოფელ გორაბრეჟოულში ემზარი კოტრიკაძის უბანში წყალგამტარი მილის მოწყობის სამუშაოები თანხით- 28712 ლარი.

სოფელ გორაბერეჟოულში გზის შეკეთება და საყანე ფართობებთან ღია არხის მოწყობის, სოფელ გორაბერეჟოულში ლიონი ჟღერიას სახლის მიმდებარე გზის

რეაბილიტაციის, სოფელ გორაბერეჟოულში ბედინეიშვილების მიმართულებით გზის რეაბილიტაციის და სოფელ გორაბერეჟოულში გელა კაპანაძის მიმართულებით წყალგამტარი მილის მოწყობის სამუშაოები თანხით- 26 841 ლარი.

სოფელ ჩხაკაურაში ზაზა ბერიძის სახლთან გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით- 9737 ლარი.

სოფელ ვანში ვიქტორ მახარაძის უბანში დაზიანებული გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით- 13 583 ლარი.

სოფელ ვანი-ზომლეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მიმდებარე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით- 26 356 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯაშების უბანში მდინარის კალაპოტის ფორმირების და გაბიონის მოწყობის სამუშაოები თანხით- 6157 ლარი.

შესყიდვები

2018 წელს შესყიდვები ხორციელდებოდა საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. ადგილი არ ქონია ხელოვნური დაყოფის არცერთ შემთხვევას და არ მიგვიღია შენიშვნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან. 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 361.4 ათასი ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით 5495,3 ათასი ლარის, კერძოდ:

2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ბოლო დაზუსტებით გამოყოფილი იყო - 3348,9 ათასი ლარი, გაფორმდა 19 ხელშეკრულება.

2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით (სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ) გამოყოფილი თანხაა - 2500,0 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 70 ხელშეკრულება.

2018 წლის 3 მაისის N955 განკარგულებით (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფორნდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 71,0 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 1 ხელშეკრულება.

2018 წლის 15 თებერვლის N410 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 64,1 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 4 ხელშეკრულება.

2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 300,0 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 4 ხელშეკრულება.

სულ დადებული იქნა 261 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით 110 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 131, კონსოლიდირებული ტენდერით - 20 შესყიდვა.

სულ ჩატარებული იქნა 149 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის: არშედგა 12, უარყოფითი შედეგით დასრულდა - 4, შეწყვეტილი იქნა - 2 ელექტრონული ტენდერი.

ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 1,64 მონაწილე.

ზედამხედველობა

ზედამხედველობის სამსახური პერიოდულად აწარმოებს მონიტორინგს და ადგილზე კონტროლდება მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევა, იერსახისა და გარე ვაჭრობის კონტროლი. ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა მუდმივმოქმედ კომისიებში, მოთხოვნების შესაბამისად გაცემულია მითითებები და შემოწმების აქტები, კურორტ ბახმაროში უკანონო მშენებლობებზე გამოიცა 5 ბრძანება დაჯარიმების შესახებ, 20 ბრძანება დემონტაჟის შესახებ რომელიც გადაცემულია სააღმსრულებლო ბიუროში, ხოლო 12 ბრძანება გამოიცა იმ უკანონო მშენებლობებზე რომლის მეპატრონის დადგენაც ვერ მოხერხდა.

შემოწმებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბაში და სხვადასხვა სოფლებში უსახური შენობა ნაგებობები, ობიექტის მეპატრონეებზე გაიცა მითითებები გონივრული ვადით რათა აღმოეფხვრათ შეუსაბამოები და წესრიგში მოეყვანათ მათ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე შემოწმებული იქნა დაბის ტერიტორიაზე მშენებარე 2 ობიექტი ი. ანღულაძისა და მ. სიხარულიძის მშენებარე სილამაზის სალონები, გაფრთხილებული იქნა ავტოგასამართი სადგური (რომპეტროლი) რომ უახლოეს პერიოდში მწყობრში მოეყვანა ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორია, ასევე მითითება მიეცა აგრარული ბაზრის მიმდებარედ თ. ვადაჭკორიას მოეწესრიგებინა შენობის გვერდითი ფასადები რაც დროულად შესრულდა მეპატრონის მიერ, გაფრთხილებული იქნა საქართველოს წყალმომარაგების კომპანია რათა აღადგინოს და პირვანდელ მდგომარეობაში

მოიყვანოს სამუშაოების შედეგად გადათხრილი ასვალტობეტონის საფარიანი გზის მონაკვეთები, რომელიც შესრულებული იქნა. დასუფთავების წესების დარღვევებთან დაკავშირებით გაფრთხილებული იქნა საწარმოო დაწესებულებებისა და კერძო სავაჭრო ობიექტის მფლობელები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროული გატანის მიზნით.

ადმინისტრაცია

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან, დეპარტამენტებიდან, გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან, მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ არსებული დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციებიდან შემოსულია სულ 10 019 კორესპონდენცია;

 რეგისტრირებულია შიდა კორესპონდენცია - 3056; შეიქმნა და გაიგზავნა -5782 წერილი; რეგისტრაციაში გატარდა მერის ბრძანებები -2069; საანგარიშო პერიოდში საკუთრების აღიარების კომისიის სახელზე მიღებული იქნა 732 განცხადება, რეგისტრირებულია საკუთრების უფლების 568 მოწმობა; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსულია 119 განცხადება (მიენიჭა სტატუსი -119 პირს, გაიცა ცნობა 33 პირზე); გზავნილებისათვის შესრულდა 129 რეესტრი;

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული 312 კორესპონდენცია;

 შიდა კორესპონდენცია -447; ბრძანება -202; განკარგულება -87; დადგენილება -37; შეიქმნა და გაიგზავნა 383 კორესპონდენცია. მოქალაქეების მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა 1620 მოქალაქის მიღება მუნიციპალიტეტის მერის მიერ. წლის განმავლობაში მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 10 დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე; სამართლებრივი დასკვნები მომზადდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ საკრებულოში შეტანილ ყველა სამართლებრივი აქტის პროექტზე;

 ვიზირება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის მერის 2069 ბრძანებას; განხორციელდა მერიის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში;

პერიოდულად მიმდინარეობს მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის, მერის წარმომადგენლებისთვის, მერიის სხვა საჯარო მოხელეებისთვის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა და იურიდიული კონსულტირება.

 განხილული და პასუხგაცემული იქნა მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული კორესპოდენციები, განცხადება/საჩივრები. 2018 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის განხორციელების პროცესში მომზადდა შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. მერიის სტრუქტურული ერთეულების უფროსებსა და მოხელეებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული იქნა ახალი სამუშაოთა აღწერილობები. მომზადდა და მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სამოქმედოდ მიღებული იქნა პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესი და პირობები; საჯარო მოხელეთა უწყვეტი სწავლების ფორმატში მომზადდა და მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმების საფუძველზე საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2018 წლის წლიური სასწავლო გეგმა; საანგარიშო პერიოდში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით შემოვიდა, განხილულ იქნა და დასაბუთებული პასუხი გაეცა 50 განცხადებას; საანგარიშო პერიოდში მომზადდა მუნიციპალიტეტის მერის 2065 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტი; ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2018 წლის წლიური სასწავლო გეგმის შესაბამისად ჩატარდა 23 ტრენინგი და გადამზადდა საჯარო მოხელეები. როგორც მოგეხსენებათ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 3 სოფელს ზოტს, ჩხაკაურას და ქვაბღას მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირთა რეგისტრაციის პროგრამა (MMS) რომლის პროგრამულ უზრუნველყოფას და განახლებას ახორციელებს ანალიტიკური განყოფილება.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით მდგომარეობა ასეთია: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის 26 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა.

ეკონომიკა და ქონება

როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივი ქონება მუნიციპალიტეტის ერთერთ ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან მერია ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას, ქონების ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ მონიტორინგს.

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რაგისტრაცია.

2018 წლის განმავლობაში მიღებულია და პასუხგაცემულია 1433 რეზოლუციით დაწერილი სამოქალაქო და სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული წერილობითი კორესპოდენცია.

აქედან- საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საფუძველზე სამსახურის მიერ მიღებული და პასუხგაცემულია 1009 საჯარო რეესტრიდან შემოსული წერილი მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადგენის მიზნით.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოსთვის მოთხოვნილია გადმოსაცემად სულ 23 ობიექტი: აქედან,

იერსახის მოწესრიგებისა და დემონტაჟის მიზნით 13 ერთეული შენობა-ნაგებობა.

აქედან სახელმწიფოს მიერ გადმოცემულია 8 ერთეული შენობა-ნაგებობა.

მოთხოვნილია გადმოსაცემად 8 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც გადმოგვეცა 1 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მოთხოვნილია სახელმწიფოსთვის გადმოსაცემად 1 ერთეული ადგილობრივი მნიშვნელობის ხიდი.

სახელმწიფოსგან გადმოგვეცა სოფ. ზოტში ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა ძირითადი ქონების სახით, მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების განხორციელების მიზნით.

2018 წლის განმავლობაში სულ გაიყიდა 6 ერთეული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 1 ერთეული შენობა-ნაგებობა.

მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 24 850 (ოცდაოთხიათას რვაასორმოცდაათი) ლარი.

ჩატარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია.

საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით 2018 წელში განახორციელდა შემდეგი სახის საქმიანობები. კერძოდ, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

პროექტი - ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“

2017 წლის 13 ივნის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან ხელი მოეწერა პროექტს „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ კლუბის წევრობას.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელსაც 2016 წლის ქალაქ ერევანში ჩაეყარა საფუძველი და მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ ადგილობრივ ხელისუფლებებზე: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. პროექტის ფარგლებში შექმნილია 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი რომელიც შედგება სამსახურის 2 თანამშრომლის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისაგან. სამუშაო ჯგუფმა ბიზნეს სექტორისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების/აქტორების ფართო ჩართულობის შედეგად შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების 2 წლიანი სამოქმედო გეგმა (LED). გეგმა არ არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი, იგი არის ორიენტირებული ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე. აღნიშნული გეგმა მოწონებული იქნა ევროკავშირის ადგილობრივი სამდივნოს მიერ და ასევე მსოფლიო ბანკის მიერ, რის შედეგადაც

მუნიციპალიტეტს მიენიჭა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ კლუბის მოქმედი წევრის სტატუსი.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 10-მდე სამუშაო შეხვედრა (კერძო სექტორთან, არასამთავრობო სექტორთან და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან). ასევე ჩატარდა ოთხი სასწავლო ტრენინგი ქ. თბილისში და ერთი შეხვედრა ქ. კიევში გამოცდილების გაზიარების მიზნით სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს გადაეცა M4EG (მერები ეკონომიკური ზრდისთვის) კლუბის მოქმედი წევრობის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

გაეროს განვითარების ფონდთან (UNDP) თანამშრომლობა

მერები ეკონომიკური ზრდისთვის კლუბის წევრობამ და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის (LED) არსებობამ მოგვცა კარგი შესაძლებლობა გაეროს განვითარების ფონდთან თანამშრომლობის. LED გეგმა მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის ერთ-ერთი ქმედება მიმართულია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე, კერძოდ გორაბერეჟოულის ტყე პარკის გარე იერსახის მოწესრიგებაზე. UNDP - ის წარმომადგენლებთან ამ საკითხზე გვქონდა ორი შეხვედრა (ქ. თბილისი და ქ. ქობულეთი), ამ ეტაპზე სამსახური მუშაობს

შესაბამისი პროექტის მომზადებაზე რომელიც წარედგინება ზემოაღნიშნულ ფონდს დაფინანსების მიღების მიზნით.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში მონაწილეობა

მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში - „რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში, ფაზა II", რომელიც საპილოტედ ოთხ რეგიონში - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და გურიაში ხორციელდება. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ერთი სამუშაო შეხვედრა ქ. ქუთაისში. მომზადდა და გაიგზავნა სამი საპროექტო წინადადება: 1. საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის აუცილებლობა 2. მინერალური და ბალნეოლოგიური წყაროების აღდგენა-რეაბილიტაცია 3. ღია ტიპის საცურაო აუზის აღდგენა-რეაბილიტაცია სპორტულ გამაჯანსაღებელი სტატუსის და ფუნქციის დაბრუნება. ასევე, ხორციელდება დახმარება კერძო სექტორისათვის საპროექტო წინადადებების მომზადება-გადაგზავნაში. გადაგზავნილი იქნა კერძო სექტორის 8 საპროექტო წინადადება.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოში (ALDA) –

ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ALDA) არის ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მმართველობის ხელშეწყობასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე ადგილობრივ დონეზე. დეკემბრის თვეში ამ ორგანიზაციის წევრი გახდა ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტი და მისი წევრობა გულისხმობს: იყო პარტნიორი რიგი პროექტებისა ან შეუერთდე კონსორციუმს სხვადასხვა სფეროში, ქონდეს წვდომა ევროკავშირის ექსპერტებთან პროფესიულ ქსელებთან და აკადემიურ ორგანიზაციებთან, მიიღო ინფორმაცია დაფინანსების პროგრამებზე და შესაძლებლობებზე.

„სახელმწიფო პროგრამა აწარმოე საქართველოში"

როგორც მოგეხსენებათ, 2015 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში", რომელიც მიმართულია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე მცირე საგრანტო კონკურსების მეშვეობით. ამ მიმართულებით მერია ყოველწლიურად აქტიურად არის ჩართული, რათა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას დაეხმაროს საგრანტო წინადადებების და პროექტების მომზადებაში.

2018 წელს კონკურსი გამოცხადდა სექტემბრის თვეში, ჩვენი თანამშრომლების მიერ კონსულტაცია გაეწია 20-ზე მეტ ბენეფიციარს, ვისაც სურდა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის

მიღება, მომზადდა 15 ბიზნეს პროექტი, რომელთაგან 7 დაფინანსდა ჯამურმა თანხამ შეადგინა 70000 ლარი.

პოტენციურ მიგრანტთა პროგრამა - პოტენციურ მიგრანტთა პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია ერთ ბენეფიციარს. ბენეფიციარის იდეის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი პროექტი, რომელიც დაფინანსებული იქნა 4400 ლარით.

სავაჭრო სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობა - მიმდინარე წელს გურიის რეგიონში შეიქმნა სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა. პალატასთან სამსახური აქტიურად თანამშრომლობს. მოხდა რამდენიმე შეხვედრა მუნიციპალიტეტის კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც მოხდა 20-მდე ბიზნეს სუბიექტის გაწევრიანება პალატაში. ასევე პალატაში არჩეული იქნა მუნიციპალიტეტიდან 2 წარმომადგენელი.

პალატაში გაწევრიანება მეწარმეებს აძლევს სხვადასხვა საერთაშორისო ბიზნესფორუმებში მონაწილეობის, უცხოელი პარტნიორების მოძიების და კონტაქტების დამყარების, ცოდნისა და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას.

აუდიტი

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლამდე არ განხორციელებულა მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დაფუძნებული შპს- ების შემოწმება.2018 წლის წლიური გეგმის

შესაბამისად შემოწმდა შპს „საგაზაო სამართველო“ და შპს „ავტოსერვისცენტრი“ რომლის შედეგებიც დეტალურად ასახულია აუდიტის მიერ წარდგენილ ანგარიშში.

სამსახურის მიერ აუდიტის ობიექტების ანგარიშის შედგენისას, გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები შესასრულებლად, რომლებიც ძირითად შემთხვევაში შესრულდა, რამაც უნდა მოახდინოს შემოწმებული ორგანიზაციების მუშაობის პროცესში შესაძლო დარღვევების პრევენცია.

სამხედრო აღრიცხვა, გაწვევა და მობილიზაცია

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში შემოსულია -376 კორესპოდენცია. პასუხი გაეცა წერილობით - 263 ადრესატს, სათანადო პასუხი გაეცა აგრეთვე მოქალაქეთა -32 განცხადებას.

სამოქალაქო რეესტრიდან შემოვიდა -48 ამონაწერი: წვევამდელთა და რეზერვისტთა საცხოვრებელი ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზედაც სამსახურის მიერ გაკეთდა სათანადო რეაგირება.

მოქალაქეებზე გაცემულია- 28 სხვადასხვა სახის ცნობა.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა - 168 მოქალაქე. აქედან ზღვრული ასაკის შესრულების გამო -130. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო -38.

სამსახურის მიერ გაცემული იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა -25, სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა -47.

თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 9 მოქალაქე.

თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილ მოქალაქეთა- 7 პირადი საქმე, რასაც გაუკეთდა სათანადო რეაგირება.

სხავადასხვა უწყებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე სპეცილურ აღრიცხვაზე აყვანილი იქნა -8 მოქალაქე. სპეციალური აღიცხვიდან მოხსნილია და საერთო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა -5 მოქალაქე.

2018 წლის გაზაფხულზე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2001 წელში დაბადებული 87 ჭაბუკი.

სამსახურში ფუნქციონირებს გამწვევი კომისია. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა- 33 სხდომა. მიღებულია- 491 გადაწყვეტილება. აქედან სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ -141, გადავადების შესახებ - 350.

თბილისის შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილი იქნა - 110 წვევამდელი.

აქედან გეგმით გათვალისწინებული- 44 წვევამდელის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხულ იქნა -29 წვევამდელი.ჯანმრთელობის მდგომარეობით გადაუვადდა გაწვევა -81 წვევამდელს.

ტურიზმი, კულტურა

მიმდინარე წელს სრულდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი

„მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“. პირველი წელი დაეთმო მუნიციპალიტეტების ტურისტული პოტენციალის კვლევას და შესწავლას. შემდგომ მომზადდა გურიისა და თითოეული მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმები, ხოლო გასულ წელს გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსები 80 000 ევროს ფარგლებში, სადაც შეიქმნა შესაბამისი საგრანტო კომისია გურიის მუნიციპალიტეტების

წარმომადგენლების მიერ. კომისიამ განიხილა სამი მუნიციპალიტეტის 67 საგრანტო პროექტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი იქნა 14 საპროექტო წინადადება სადაც დაფინანსდა 9 პროექტი, გრანტის მოცულობამ 22000 ევრო შეადგინა.

ეს პროექტებია:

„რა ყოფილა ხიდისთავი“ - პროექტის მიზანი გახლდათ სოფლად არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ნებისმიერ საოჯახო სასტუმროში ჩამოსული ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტის, აღნიშნული საბანაო ადგილითა და ბაზრობით სარგებლობის შესაძლებლობა.

ბუკისციხე - „თამარის ციხეზე“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ბუკისციხის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა

‚კერიის გაცოცხლება“ - კერია არის ადგილი გურულ ფაცხაში, სადაც ინთებოდა ცეცხლი - ტრადიციული გურული გარემოს აღდგენა მუზეუმის სივრცეში და მისი პოპულარიზაცია, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის

გურიაპრომო - პროექტის მიზანი გახლდათ, საიმიჯო ვიდეო კლიპის დამზადებისა და მიზნობრივად გავრცელების გზით გურიის რეგიონის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა - პოპულარიზაცია გურიის რეგიონის ტურისტული ცნობადობის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ვიზიტორების მოზიდვას.

პროექტი მიზნად ისახავდა საპიკნიკე ტერიტორიის მარტივი ინფრასტრუქტურის მოწყობას - სოფელ ბჟოლიეთში

,,ჩოხატაური“-ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ილუსტრირებული, საინფორმაციო საიმიჯო წიგნის მომზადებისა და გამოცემის გზით რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.

„ხეში აჟღერებული მუსიკა“ - ხეზე კვეთის ოსტატობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდებისთვის ამ უნიკალური საქმის შეყვარება და შესწავლა.

ბახმაროს Sunset ფესტივალი (გურიის კურორტების ფესტივალები) - პროექტის მიზანი გახლდათ, ბახმაროს sunSet ფესტივალის მოწყობით, სასაფუძველი ჩაეყარა გურიის მთიან კურორტებზე ყოველწლიური, ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსის თანამედროვე მუსიკის ფესტივალების მოწყობას _ მზის ჩასვლის (ზაფხულთან დამშვიდობების), მზის ამოსვლის (ზაფხულის დახვედრის), თოვლის ფესტივალები ბახმაროში და გომისმთის სანისლეთის დრაივ-ფესტივალი. თანამედროვე მუსიკის ფესტივალების ჩატარებით, ხელს შევუწყობთ კურორტ

ბახმაროს პოპულარიზაციას, ადგილობრივი ახალგაზრდების და ადგილობრივი ბიზნესსექტორის ჩართვას ტურიზმის განვითარებაში.

გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია - პროექტი მიზნად ისახავდა გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის აღდგენას და ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციას, ადგილობრივი ხელოვანების ნამუშევრებისა და მცირე მეწარმეების მიერ დამზადებული პროდუქტის რეალიზების ხელშეწყობას ფესტივალის საშუალებით.

რაც შეეხება ვიზიტორთა ზრდის პროცენტს ასე გამოიყურება: 2015 წლის მონაცემით ბახმაროს სტუმრობდა 12 000 ვიზიტორი, ხოლო 2016 წელს 18 000, 2017-2018 წელს შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. ვიზიტორთა ძირითად ნაკადს ველოდებით, როგორც ზაფხულის სეზონზე ასევე ზამთრის სეზონზეც.

ნიკო ბერძენიშვილის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მონაცემით საექსკურსიო დამთვალიერებელი დაფიქსირებულია - 910 ვიზიტორი, ხოლო ინდივიდუალური დამთვალიერებლის რაოდენობა შეადგენს - 1296 ვიზიტორს, ექსკურსიების რიცხვი შეადგენს - 62.

ნოდარ დუმბაძის სახ. მუზეუმის ვიზიტორთა საერთო რაოდენობა შეადგენს - 4 600 ვიზიტორი.

მოსე გოგიბერიძის სახ. სახლ-მუზეუმის ვიზიტორთა საერთო რაოდენობა შეადგენს - 150 ვიზიტორი.

ნიკო მარის სახ. სახლ-მუზეუმის ვიზიტორთა საერთო რაოდენობა შეადგენს - 250 ვიზიტორი.

მხოლოდ მუზეუმების ვიზიტორთა საერთო რაოდენობა დღეის მდგომარეობით შეადგენს - 7268 ვიზიტორი.

მერები ეკონომიკური ზრდისთვის ინიციატივის ფარგლებში მომზადდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2 წლიანი სამოქმედო გეგმა, ამ გეგმის ნაწილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა პროექტი სახელწოდებით გორაბერეჟოულის ისტორიული ტყე-პარკის რეაბილიტაცია.

აქედან გამომდინარე 2019 წლის 5 თებერვალს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში UNDP-ის (გაეროს განვითარების ფონდი) მხარდაჭერით საერთაშორისო ორგანიზაცია „eptisa“-ს მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე - საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება პროექტის ციკლის მართვაში. შეხვედრის მიზანი იყო, გაეროს განვითარების ფონდის მხარდაჭერით, ტყე-პარკის ლანდშაფტური განვითარების გეგმის შედგენა.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში 141 კულტურულ-სპორტული ღონისძიება გაიმართა. აქედან ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და

შემეცნებითი 116. სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიმართულებით 25.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, „გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში დაფინანსდა 9 პროექტი: (შეიქმნა კლიპი, დაიბეჭდა საიმიჯო წიგნი).

დაიდგა 2 LightBox (რომელზეც დატანილია გურიის რუკა და ტურისტული ინფორმაცია).

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის „ბახმარო“ წარმატებული გამოსვალა.

შეჯამებისას შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ 2018 წელი, მიუხედავად სირთულეებისა და გამოწვევებისა, მუნიციპალიტეტისთვის იყო სოციალურ - ეკონომიკური თვალსაზრისით ერთერთი გამორჩეული წელი.